

საქმე №დს-შ/9-16

21 ივლისი, 2016 წელი

ქ. თბილისი
მიღების ადგილი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:**

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე),
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (მომხსენებელი),
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - მ. გ.;

საჩივრის ავტორი - ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს.;

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო,
წარმომადგენლები - ვ. გ., თ. ვ., თ. დ.;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის №1/01/16
გადაწყვეტილება.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა „სადაზღვევო კომპანია
-----ს“ (№225, 18.12.14; №226, 18.12.14; №227, 21.12.14; N143, 04.06.15; N154, 08.06.15;
№192, 09.07.15; №1338-ო, 10.07.15; №196, 14.07.15; №1382-ო, 14.07.15; №1422-ო,
16.07.2015; №1528-ო, 27.07.15), ქ. კ-სა და ქ. ქ-ს საჩივრები (№282, 19.10.15, №284,
19.10.15) და ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს-ს მიმართ დაიწყო
დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №225-14
გადაწყვეტილებით ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს. მიეცა დისციპლინურ

პასუხისგებაში „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების – მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედების, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას და მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო.

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძველი გახდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: №2/18913-14 სამოქალაქო საქმეზე 2014 წლის 22 დეკემბერს დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა 2014 წლის 26 ნოემბერს წარდგენილი შუამდგომლობა, რომლის თანახმად, მან იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სს „-----დან“ საკრედიტო ხელშეკრულებებისა და კრედიტის ოდენობის თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა. მოსარჩელის მითითებით, დავის საგანს ხელშეკრულებათა ბათილად ცნობასთან ერთად, წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და დადასტურებისათვის მას (სს „-----ს“) ესაჭიროებოდა მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რა ოდენობით შემცირდა სადავო ქონების ღირებულება სს „-----ში“ იპოთეკით დატვირთვის გამო. ზიანის ნაწილში მოსარჩელე აპირებდა შემდგომში მოთხოვნის დაზუსტებას სს „-----დან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ანუ შესაძლებელი იყო ზიანის ოდენობის ნაწილში მოთხოვნის გაზრდა. კერძოდ, სარჩელში მე-7 მოთხოვნად მითითებული იყო სს „-----ს“, შპს „-----ს“, შპს „-----სა“ და შპს „-----ს“ დაკისრებოდათ ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით - 18 400 000 აშშ დოლარის ოდენობით სს „-----ს“ სასარგებლოდ. სასამართლოს მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებების საფუძველზე, იმის მიხედვით, თუ რა მტკიცებულებები იქნებოდა მიღებული, შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, ზიანის ნაწილში 18 400 000 აშშ დოლარით გაზრდილიყო.

----- სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის საოქმო განჩინებით ზემოაღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სს „-----დან“ გამოთხოვილ იქნა მასალები.

2015 წლის 20 იანვარს სს „-----დან“ ----- სასამართლოში მიღებულ იქნა სასამართლოს მიერ საოქმო განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია.

2015 წლის 28 იანვარს გამართულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე სს „-----დან“ მიღებული მტკიცებულებები გადაეცათ მხარეებს. მომდევნო სასამართლო სხდომები (მოსამზადებელი სხდომები) ჩატარდა 2015 წლის 16 თებერვალსა და 2015 წლის 11 მარტს. სასამართლოს მთავარი სხდომა კი დაინიშნა 2015 წლის 6 აპრილს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2015 წლის 6 აპრილის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოსარჩელე მხარემ ახსნა-განმარტების წარდგენისას მიუთითა, რომ აზუსტებდა მე-7 სასარჩელო მოთხოვნის ოდენობას სს „-----დან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა,

როგორც მიუღებელი შემოსავლის სახით 18 400 000 აშშ დოლარის, ასევე - ქონების ღირებულების შემცირებით მიღებული ზიანის ანაზღაურება 14 427 000 აშშ დოლარის ოდენობით, სულ ჯამში - 32 827 000 აშშ დოლარი. ამავე სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო-ჩანაწერით დგინდება, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელე მხარემ დაასრულა ახსნა-განმარტება, მხარეთა შორის წარმოიშვა დავა მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოების გამო მოსმენილ იქნა 2014 წლის 22 დეკემბრის სასამართლოს სხდომის ოქმი, რომელშიც მოსარჩელემ წინასწარ განაცხადა, რომ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში შესაძლოა გაზრდილიყო. გაგრძელდა სასამართლო სხდომა და მოსმენილ იქნა მხარეთა პოზიციები. მოპასუხეთა მოსაზრებით მოსარჩელე მხარეს საკმაოდ დრო ჰქონდა, რომ გაეზარდა მოთხოვნა, რადგან მტკიცებულებები, რომლითაც მან გამოთვალა ზიანის ოდენობა, გადაეცა 2015 წლის 28 იანვრის სხდომაზე და მას შემდეგ სასამართლომ ჩაატარა ორი მოსამზადებელი სხდომა. ამასთან, მოპასუხეთა მითითებით, მთავარ სხდომაზე მოთხოვნის გაზრდით დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის გაზრდისათვის აუცილებელია მოპასუხე მხარის თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.

განსახილველ საქმეზე სასამართლო სხდომები ჩატარდა 2014 წლის 22 დეკემბერს, 2015 წლის 8 იანვარს, 28 იანვარს, 16 თებერვალს, 11 მარტს, 6 აპრილს, 22 აპრილს, 4 მაისს, 27 მაისს, 17 ივნისს, 29 ივნისს, 27 ივლისსა და 29 ივლისს. 2015 წლის 29 ივლისის სხდომაზე დასრულდა საქმის არსებითი განხილვა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2015 წლის 14 აგვისტოს. 2015 წლის 14 აგვისტოს სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერის თანახმად, დგინდება, რომ მოსამართლემ გახსნა სასამართლო სხდომა, გამოაცხადა ნაწილობრივი გადაწყვეტილება ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო საქმის განხილვა გააგრძელა შეკითხვების ეტაპიდან. ამის შემდგომ, გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და დაიხურა სასამართლო სხდომა.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს. გამართლდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით - მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედების, რომელიც ბლალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას - წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში, ხოლო ცნობილ იქნა ბრალეულად ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება) ჩადენაში, რისთვისაც მას დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - შენიშვნა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო კოლეგიამ განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს, ამიტომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს ზუსტად უნდა დადგინდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი და შესაბამისად, განისაზღვროს დისციპლინური სახდელი, კერძოდ, მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება თუ დადასტურდა მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედება არ შეიძლება ჩაითვლილიყო მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებად, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას, ვინაიდან საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის განვლილი პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლის მხრიდან ანალოგიური ქმედების ჩადენა კვალიფიცირდებოდა კანონის უხეშ დარღვევად, („საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), რომელი ნორმაც დღეის მდგომარეობით ამოღებულია კანონმდებლობიდან (2012 წლის 27 მარტის №5922 კანონით) ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებად, რომელიც ბღალავს სასამართლო ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას - მიჩნეულია სხვა სახის დარღვევები.

სადისციპლინო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების ან გაზრდის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილება /არდაკმაყოფილება არ შეიძლება მიჩნეულიყო მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებად, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას. ასეთ ქმედებად შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო მოსამართლის მიერ არაეთიკური საქციელის ჩადენა, როგორც სასამართლოში, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ისე სასამართლოს გარეთ, რომელიც თავისი ბუნებით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს, რის შესახებაც მითითებულია საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-4 მუხლში, კერძოდ, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის.

ამასთან, სადისციპლინო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების ან გაზრდის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის (საოქმო განჩინების) კანონიერების საკითხი უნდა გადაწყვიტოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ და ამ საკითხის შეფასება სცილდება სადისციპლინო კოლეგიის კომპეტენციის ფარგლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს. უნდა გამართლებულიყო.

მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით (ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა) სადისციპლინო კოლეგიამ არ გაიზიარა მოსამართლე გ. ს-ს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების მიღება არის მოსამართლის დისკრეცია, მას შეუძლია ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღება, ასევე, „აღნიშნული საკითხები არის სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილი, ორივე გასაჩივრებულთა სააპელაციო წესით და იხილება სააპელაციო სასამართლოში“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი ნაწილობრივი გადაწყვეტილება, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ - ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმით ნაწილობრივი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს მხარეთა თხოვნით ან დაინტერესებული მხარის თხოვნით, მითითებული ნორმა ზღუდავს მოსამართლის უფლებამოსილებას თავისი ინიციატივით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება მხარეთა (მხარის) თხოვნით გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა (მხარის) შუამდგომლობა ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ ყოფილა წარდგენილი. მოსამართლე გ. ს-მ, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე საქმეზე ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღებით უგულებელყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რითაც ჩაიდინა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა – მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება. ამდენად, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე საქმეზე ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღებით დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, ხოლო ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობის გარკვევა სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე, შედეგები, რაოდენობა და მიიჩნია, რომ -----

სასამართლოს მოსამართლე გ. ს-ს უნდა დაკისრებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა მოსამართლე გ. ს-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ წარმოადგენს მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღება და მისი მიღებით მხარის რა ინტერესი შეილახა. სადისციპლინო კოლეგია ასევე არასწორად განმარტავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის შინაარსს. აღნიშნული ნორმა ეხება მხარის უფლებას, შუამდგომლობის საფუძველზე მოსთხოვოს სასამართლოს ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, რომ 245-ე მუხლი ზღუდავდეს მოსამართლეს მხარის შუამდგომლობის გარეშე, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთზე, რომელიც მომზადებულია.

საპროცესო კოდექსის მიხედვით, ერთ სარჩელში შეიძლება რამდენიმე მოთხოვნა იყოს გაერთიანებული. სასამართლოს ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე ერთდროულად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა და თუ ცალკე წარმოებად გამოყოფა შეუძლია, შეუძლებელია არ შეეძლოს სასარჩელო მოთხოვნათა ნაწილზე გადაწყვეტილების მიღება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად იქნეს დატოვებული საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის №1/01/16 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 65.1 მუხლის შესაბამისად, დადგენილია, რომ სადისციპლინო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით და

დაკისრებული სახდელის სამართლიანობის გათვალისწინებით. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული არ არის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. სადისციპლინო პალატა თვლის, რომ ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს-ს მიერ დარღვეულია ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, შესაბამისად, მოსამართლის ქმედებებს სრულიად მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მას კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 6 აპრილის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოსარჩელე მხარემ ახსნა-განმარტების წარდგენისას მიუთითა, რომ აზუსტებდა მე-7 სასარჩელო მოთხოვნის ოდენობას სს „-----დან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა, როგორც მიუღებელი შემოსავლის სახით 18 400 000 აშშ დოლარის, ასევე - ქონების ღირებულების შემცირებით მიღებული ზიანის ანაზღაურება 14 427 000 აშშ დოლარის ოდენობით, სულ ჯამში - 32 827 000 აშშ დოლარი. ამავე სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო-ჩანაწერით დგინდება, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელე მხარემ დაასრულა ახსნა-განმარტება, მხარეთა შორის წარმოიშვა დავა მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო მოსმენილ იქნა 2014 წლის 22 დეკემბრის სასამართლოს სხდომის ოქმი, რომელშიც მოსარჩელემ წინასწარ განაცხადა, რომ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში შესაძლოა გაზრდილიყო. გაგრძელდა სასამართლო სხდომა და მოსმენილ იქნა მხარეთა პოზიციები. მოპასუხეთა მოსაზრებით, მოსარჩელე მხარეს საკმაოდ დრო ჰქონდა, რომ გაეზარდა მოთხოვნა, რადგან მტკიცებულებები, რომლითაც მან გამოთვალა ზიანის ოდენობა, გადაეცა 2015 წლის 28 იანვრის სხდომაზე და მას შემდეგ სასამართლომ ჩაატარა ორი მოსამზადებელი სხდომა. ამასთან, მოპასუხეთა მითითებით, მთავარ სხდომაზე მოთხოვნის გაზრდით დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის გაზრდისათვის აუცილებელი იყო მოპასუხე მხარის თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.

განსახილველ საქმეზე სასამართლო სხდომები ჩატარდა 2014 წლის 22 დეკემბერს, 2015 წლის 8 იანვარს, 28 იანვარს, 16 თებერვალს, 11 მარტს, 6 აპრილს, 22 აპრილს, 4 მაისს, 27 მაისს, 17 ივნისს, 29 ივნისს, 27 ივლისსა და 29 ივლისს. 2015 წლის 29 ივლისის სხდომაზე დასრულდა საქმის არსებითი განხილვა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2015 წლის 14 აგვისტოს. 2015 წლის 14 აგვისტოს სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერის თანახმად, დგინდება, რომ მოსამართლემ გახსნა სასამართლო სხდომა, გამოაცხადა ნაწილობრივი

გადაწყვეტილება ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო საქმის განხილვა გააგრძელა შეკითხვების ეტაპიდან. აღნიშნული გარემოების შემდგომ, გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და დაიხურა სასამართლო სხდომა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს. გამართლებულ იქნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას) წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში, ხოლო ცნობილ იქნა ბრალეულად ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება) ჩადენაში, რისთვისაც მას დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - შენიშვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით იზიარებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და მის სამართლებრივ შეფასებას. ამასთან, დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოსამართლე გ. ს-ს მიერ განხორციელდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის - მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ჩადენა, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის თანახმად, თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს მოსამართლე გ. ს-ს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღება არის მოსამართლის დისკრეცია, მას შეუძლია ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღება. სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ ნაწილობრივი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხარეთა თხოვნით ან დაინტერესებული მხარის თხოვნით. მითითებული ნორმა ზღუდავს მოსამართლის უფლებამოსილებას, თავისი ინიციატივით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება მხარეთა თხოვნის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია და სადავო არ არის, რომ მხარეთა შუამდგომლობა ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო კანონის აღნიშნული დანაწესი უნდა განიმარტოს სამართლის ორი ძირითადი პრინციპის: კანონიერების პრინციპისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის შესაბამისად. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში. სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლო გასცდა მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებს და დაარღვია კანონის იმპერატიული დანაწესი. კერძოდ, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე საქმეზე ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღებით დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა.

სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს სადისციპლინო კოლეგიის მოსაზრებას, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლისა და პიროვნების ავტორიტეტსა და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, მოსამართლის მიერ ჩადენილ გადაცდომას მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის, რაოდენობის, მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაციის გათვალისწინებით, დასაბუთებულია და ადეკვატურია მოსამართლისათვის დაკისრებული სახდელის ნაწილშიც. ამასთან, საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა ობიექტური გარემოება, რომელიც გამორიცხავდა ან შეამსუბუქებდა მოსამართლის ბრალს. მეორე მხრივ, წარმოდგენილი საჩივრის მოტივები ძირითადად დაუსაბუთებელია, რის გამოც, ისინი გაზიარებული ვერ იქნება. შესაბამისად, მოსამართლე გ, ს-ს მოთხოვნა დაუსაბუთებელია და სახეზე არ არის მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი

წინაპირობა, რის გამოც, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ----- სასამართლოს მოსამართლე გ. ს-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის №1/01/16 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

/მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები:

/ვასილ როინიშვილი/

/ნუგზარ სხირტლაძე/